

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა
ოქმი N5

ქ. გარდაბანი

22.10.2025 წ

13:00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით
ჭინჭარაული.

სხდომას ესწებოდნენ კომისიის წევრები:

1. შახადატ მეხრალიევი
2. ანი მანჩხაშვილი
3. რასიმ ისაევი
4. ფლორა ასკაროვა
5. გუსეინკულუ მუსაევი
6. თორნიკე ქავთარაძე.

სხდომას არ ესწებოდა:

1. ვუგარ მამედოვი.
2. მეითხან მეითხანოვი
3. ვახუშტი აბულაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025-2030 წწ. სამოქმედო გეგმის“-შესახებ.

განხილულ იქნა

საკითხი 1.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 1 ოქტომბრის წერილი №18-182527498, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025-2030 წწ. სამოქმედო გეგმის“ შესახებ.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების პრევენციის, ნარჩენების მართვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს: ნარჩენების პრევენციის სტრატეგიის მომზადება; გატარებული ღონისძიებების შესაძლო გავლენისა და დამატებითი ინფრასტრუქტურული საჭიროებების შეფასება; ნარჩენების შეგროვების პროცესში, ნაგავმზიდების მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების გათვალისწინება, პრევენციისა და რეციკლირების სხვადასხვა სცენარისთვის.

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის შესაბამისი დანახარჯების გაწევას გრძელვადიან (რამოდენიმე წლიან 2030 წლამდე) პერიოდში ეტაპობრივად. თუმცა მოცემულ მომენტში ვერ იქნება ზუსტად განსაზღვრული, განკარგულების მიღება რა ზეგავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025-2030 წწ. სამოქმედო გეგმი შესახებ“- პროექტის გატანას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-7

წინააღმდეგი-0

კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2025 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხები შემდგომი განხილვის მიზნით, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:



/ დავით ჭინჭარაული /

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომაზე

დამსწრეთა სია

2025 წლის 22 ოქტომბერი
13⁰⁰ სთ.


1. დავით ჭინჭარაული



2. შახადატ მეხრალიევი



3. თორნიკე ქავთარაძე



4. ანი მანჩხაშვილი



5. ვუგარ მამედოვი

6. ფლორა ასკაროვა



7. რასიმ ისაევი












8. მეითხან მეითხანოვი

9. გუსეინკულუ მუსაევი



10. ვახუშტი აბულაძე

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025-2030 წწ. სამოქმედო გეგმის“-შესახებ.

	სახელი, გვარი	მომხრე	წინააღმდეგი
1	დავით ჭინკარაული		
2	ვუგარ მამედლოვი		
3	შახადატ მეხრალიევი		
4	თორნიკე ქავთარაძე		
5	ანი მანჩხაშვილი		
6	რასიმ ისაევი		
7	გუსეინკულუ მუსაევი		
8	ფლორა ასკაროვა		
9	მეითხან მეითხანოვი		
10	ვახუშტი აბულაძე		